



საპარტოვლოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ
9 03510. შაბათი, 1990 წ.
№107 (10 278) • ფანი პაპი.
გამომოს 1934 წლის 13 აპრილიდან

თვის მონაგარი

პარდოვისთვე — გამარჯვებუბის თვე

ამჟამად ჩვენი რუბრიკის განხილვა პარტოვლო ძიუდოისტების მიღწევებით გვიხდება, თუმცა მათი მონაგარი არ არის ისეთი შთამბეჭდავი, როგორც წინა თვეებისა იყო. მაინც ფრანკფურტში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ხუთი ქართველი მოჭიდავე გაემგზავრა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხუთივე უოქროს შედეგობდ დაჯიბრუნდა. ამირან ტრატიაშვილმა (60 კგ), კობა კურტანიძემ (95 კგ) და დავით ხახალაიშვილმა (ახლოსტური კატეგორია)

მხოლოდ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ეს შედეგი არ ალაფრთოვანებს გამარჯვებებს შეჩვეულ ძიუდოს ქართველ გულშემატკივრებს. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატი მაინც მსოფლიო ჩემპიონატია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა-დ. ხახალაიშვილის წარმატება, რომელმაც ტოლი არ დაუღო გამოსცდილ, ტიტულოვან მეტოქეებს და სამეულში მოხვდა. ძიუდოისტების წარმატებული გამოხვლის ერთგვარ კომპენსაციად

თვა ლანჩავას იმედიანი სტარტი

სტარტი ჩება სინგაპურში მიმდინარე 16 წლამდე ასაკის მოკლდრკე გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე.

წარმატებით თამაშობს ჩვენი დანამეზამულე, ფიდე-ს ოსტატი თვალანჩავა, რომელიც 5 შესაძლებლობიან 4,5 ქულით პირველ ადგილზე იმყოფება.

იკრიზავიან თლიშვიური ჩამოიონეზი

ორშაბათს, 11 ივნისს, 14 საათზე, ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული დახმობების სკოლის შენობაში (ხანაპირზე) დანიშნულია სა-

ქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბის წევრების შეკრება. თლიშვიური ჩამოიონეთა კლუბი.

ცანეზურა — ნოკაუზში


სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში მეორე წაკითხვით მიმდინარეობს „ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის სხვა მასობრივი საშუალებების კანონის პროექტის განხი-

ლვა. უკვე დამტკიცებულია პირველი მუხლი, სადაც ჩაწერილია, რომ „მასობრივი ინფორმაციის ცენზურა დაუშვებელია“. გუშინ კანონის პროექტის განხილვა გრძელდებოდა.

შეიძლება ჩათვალოს ახალგაზრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ბრწყინვალე გამარჯვება საკავშირო სპარტაკიადაზე, რომელიც გორში ჩატარდა. ჩემპიონები გახდნენ მალხაზ მხიფიე, დავით პოლოხანი, გოგიატა ხახალაიშვილი, ალექსანდრე კანიაშვილი, ლუკა კობია და ზურაბ ლოლაშვილი. წარმატება წარმატებად, მაგრამ თერთმეტ წონით კატეგორიაში თუ 6 ოქროს ქართველი სპორტსმენები მოიპოვებდნენ, ამას უკიდურესი ოპტიმისტიც ვერ იფინასწარმეტყველებდა. საბატრაიანის ვერცხლის მედალი მოიპოვა გიორგი ტორჩინავამ, ბრინჯაოსი — კახაბერ შოშიტაშვილმა. საერთო გუნდურ ჩათვლაში კი ჩვენი ნაკრები პირველ ადგილზე გამოვიდა და მიუღი 114 ქულით გაუსწრო მთავარ კონკურენტს — მოსკოვის გუნდს. ვარდობისთვე ქართველი აკრობატებისა და ბატუისტების ტრიუმფით აღინიშნა. ჭერ პოლონეთში გამართულ ხაერთაშორისო ტურნირიდან „გაზაფხული-90“ მედლებით დაჯიბრუნდნენ ჩვენი აკრო-

ბატები. ვერცხლის მედალს დაუფლა ვია ხეთაგური, ხოლო, წყვილთა ასპარეზობაში თამარ ბეროზაშვილმა და თინათინ ვარდიძემ ბრინჯაოს მედლები მოიგეს. შემდეგ ვორონეში იასპარეზეს ჩვენმა ვოგო-ბიქებმა შესანიშნავად. ზაურურ ვარჯიშში პირველი იყო თბილისელთა ტრადიციული ტრიო — ნატალია ანისიშვილი, ინგა გიორგობიანი და ირმა ოვოიანი. ქალებს არც ვაუბია ჩამორჩნენ და ჩაუფურ ვარჯიშში ჩემპიონები გახდნენ ეზარ აბუაშვილი, დიმიტრი ქარტოზია, ვაჟა არაყიშვილი და ნიკოლოზ შველიძე. თუ რუსულიან ზოფერიას გამარჯვება არავის გამკვირვებია საკავშირო თახის გათამაშების მეორე ეტაპზე, თბილისელი ბატუისტების ანა დოლონაძისა და ლია ბენდინაშვილის მიერ მოპოვებული მეორე ადგილი წყვილთა თანრიგში მოულოდნელი იყო. რ. ზოფერიამ კიდევ ერთი მედალი, ოღონდ ამჯე-

იხ. გვ. 4 გვ



თავან მოგაცნობათ შანა-კლავდიკა კლავდიკოვიჩის ავტომობილო რალი, რომლის მსპავსი შეჯიბრებაში დიდ ინტერესს იწვევს მთელს მსოფლიოში.


ავტორალის ოფიციალური დასახელებაა „ოქროს სანეისი-90“

ავტომობილზე უსაბაჟე ენის უმაღლესი სასწავლებლების ღია პირველობა, რომელიც თბილისის შემოგარენში ჩატარდება 6-8 ივლისს.

ავტორალის ორგანიზატორები არიან საპარტოვლოს ტანიაშვილი უნივერსიტეტი და მისი საინჟინერო ცენტრი „პროგნატიკი“.

ეს არ იქნება მხოლოდ ავტომობილისტთა შეჯიბრება. ავტორალის ჩატარების პროცესში მოაწონა მრავალი სანახაობრივ-გასართობი და კომერციული ღონისძიება.


ორგანიზატორები თხოვენ ცალკეულ ორგანიზაციებს, ითხოვენ ასპარეზობის სპონსორებას.



ლობას, ჩვენ მზად ვართ, როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორი, მოლაპარაკება ვიქონოთ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციასთან ყველა საფეხურით საკითხზე და უზრუნველყოთ ამ მოლაპარაკების განუხრელად შესრულება. ვ. კოლასკოვს შემოსხვებულ ტელეგრამის ამ პუნქტზე კრინტიც არ დაუბრავს. 21 მაისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ იგივე წინადადებით კვლავ მიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს და მოითხოვა ამ საკითხის განხილვა აღმასკომის სხდომაზე, რომელიც 23 მაისს იყო დანიშნული. საპასუხო ტელეგრამა იტყობინებოდა: „... საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ არ არის საკავშირო ფედერაციის წევრი და ამასთან დაკავშირებით თქვენი ფედერაციის სტატუსის განსაზღვრა არ არის სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეროგატივა. იმისათვის, რომ გაეშროთ თანასწორუფლებიანი მოლაპარაკება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უნდა გაიწესოს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის წევრი“.

სიყვარულით ქრისტესპირით...

ცოტა ხნის წინ თითქოს არც ვიცოდით ინვალიდთა არსებობის შესახებ. ისინი მარტონი იყვნენ თავიანთ უმძიმეს ხვედრთან. ჩვენსავ თვეში ჩაკეტილებს არ გვახ-



გ. ძნელაძე.

სოვდა, რომ არიან ადამიანები, რომელთაც თანადრომა სჭირდებათ. სხვა ტაძრისკენ — სიყვარულის ტაძრისკენ მიდიოდა მაშინ ჩვენი გზა. იმ ტაძრისთვის უცხო იყო თანადრომა, სიყვარული, მოწყალება. თავად შეგვახსენეს თავი.

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ჩვენი იდეა ფიქტურულულსპორტული ფედერაციის პრეზიდენტს გიორგი თელაძეს. ბატონო გიორგი, როგორ განიდა თქვენი ფედერაციის შექმნის იდეა? — 1975 წელს ხერხემალი დამიზიანდა. ცოტა რომ მოეჭოზინდი, მოსკოვში წავედი სამკურნალოდ, სადაც მრავლად ვხვებ ჩემებრ ტერაპიური დავალებული ადამიანები. მათგან შევიტყვეე, რომ ისინი საკავშირო საზოგადოების შექმნას აპირებდნენ. ჩვენი ინტერესები დაემთხვა ერთმანეთს. მაგრამ ეს ყველაფერი ეგრეთ წო-

პირველ ადგილზეა ოთარ მჭედლიშვილი

ზაფხული ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრებებით გაღატკეპილი დროა, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. ჭერ რამდენიმე სიტყვა უცხოეთში გამართულ ტურნირებზე. მკვინი. სრულიად ჩინეთის სპორტული თამაშების პროგრამაში იყო სპრინტერთა ასპარეზობაც, რომელშიც მონაწილეობდა უცხოეთის ბევრი უძლიერესი ველოსიპედისტი. საბჭოთა კავშირის გუნდი ამ შეჯიბრებაში დაკომპლექტებული იყო 24 წლის თბილისელ ოთარ მჭედლიშვილით, ტალინელი ურმო ვალტერი და ლენინბადელი ოლეგ ბორზუნიოვით. ბრძოლა საპრიზო ადგილებისთვის სწორედ ამ სპორტსმენთა შორის გაიმართა. ფინალში მონაწილეობის უფლება თბილისელმა და ტალინელმა ველოსიპედისტმა მოიპოვეს. გადამწყვეტ ბრძოლაში

უძლიერესი ოთარ მჭედლიშვილი გამოდგა, რომელმაც მოიგო ორივე ფინალური სერია და პირველი ადგილი დაიკავა. მცირე ფინალში კი, რომელსაც ბრინჯაოს პრიზორი უნდა გამოეგონა, ბორზუნიოვმა იმარჯვა — მას მესამე ადგილი ხვდა. რემი. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მრავალდღიანი რბოლა ფრანგული „ტურ დე ფრანსის“ შემდეგ „ჯირო დ'იტალია“, რომელიც 26 წლის ადგილობრივმა ველოსიპედისტმა ჯანი ბუნიომ მოიგო. ეს მისი პირველი დიდი გამარჯვებაა საერთაშორისო სარბიელზე. შეგახსენებთ, რომ შარშან ბუნო ორივე რბოლაში გამოდიოდა. „ჯიროში“ 21-ე ადგილი დაიკავა, „ტურ დე ფრანსში“ კი — მეთერთმეტი.

დასაწყისისთვის 10 ათასი მანეთი

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჯ. მიქელაძემ გვაცნობა, რომ სპორტსაზოგადოების საბჭომ საგანგებო თათბირი ჩატარა, რომელსაც ესწრებოდნენ ყველა რგოლის ხელმძღვანელი მუშაკები. მიღებულია

თანაგრძნობა

1 ივნისს თბილისში საბაგირო გზაზე მომხდარი ავარიის შედეგად დაღუპულთა გლოვის დღეს, ჩვენ, აფხაზეთის ფეხბურთელთა ჩემპიონატის მონაწილენი, ვიზიარებთ ქართველი ხალხის მწუხარებას და თანაგრძნობას ვუცხადებთ დაღუპულთა ოჯახებს. აფხაზეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილე გუნდების ხახელით, ჩემპიონატის მთავარი მხაჯი გრიგორი პოლოხანი, 7 ივნისი.



ოთარ მჭედლიშვილი.

მოსმონი. კრილატსკის ოლიმპიურ ველოტრასაზე დაიწყო საკავშირო თასის გათამაშება საგზა-ტექნიკული რბოლაში. ჯგუფურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა კუბიშეველმა ნაიდედა კიბარდინამ დაიკავა, რიგრიგით სტარტი რბოლა 13,5 კილომეტრზე ნატალია მილიჩინამ მოიგო.

„ფინტი პარანზე“

ამ სათაურით გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 5 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ურნალისტ ზურაბ ტაბატაძის მახალა, რომელიც ეხება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის ურთიერთობის საკითხებს. გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს ამ წერილიდან. მართლაც ფეხბურთის გულშემატკივრებში ერთგვარი გაოცება და გაურკვეველობის გრძობა გამოიწვია ა. წ. 13 მაისს საქართველო-ლევიზიის ყოველკვირეულ გადაცემა „ფუტბოლოე თბორენიეში“ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის ვიარსლავ კოლოსკოვის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ საკავშირო ფედერაცია „სიამოვნებით“ აღიარებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი, თავისი საქმიანობის რამიმე რგოლით მინც, დაუკავშირდება საკავშირო ფედერაციის საქმიანობას (მსაჯების მივლინება სსრკ ჩემპიონატის მატჩებზე, ფეხბურთელების გაშვება ნაკრებ გუნდებში და ა. შ.). სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ამ განცხადებით ისეთი სურათი დახატა, თითქოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (სფფ) „გაებტა“ ყველას და ყველაფერს და გაგონებაც კი არ სურს არაფრისა, რაც საკავშირო ასპარეზობას ეხება. ეს აბსოლუტური სიცრუა და გაკეთებულია სპეცილურად, რათა მეცოდოში შეიყვანოს გადაცემის მრავალრიცხოვანი მაყურებელი. საქმე ეს ძალიან, რომ ა. წ. 19 მარტს სსრკ ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ დეკლარაციაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნ. ახალკაცი გარკვევით წერდა: „... გატყობინებთ, რომ მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია აღიარებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებ-

ლობას, ჩვენ მზად ვართ, როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორი, მოლაპარაკება ვიქონოთ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციასთან ყველა საფეხურით საკითხზე და უზრუნველყოთ ამ მოლაპარაკების განუხრელად შესრულება. ვ. კოლასკოვს შემოსხვებულ ტელეგრამის ამ პუნქტზე კრინტიც არ დაუბრავს. 21 მაისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ იგივე წინადადებით კვლავ მიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს და მოითხოვა ამ საკითხის განხილვა აღმასკომის სხდომაზე, რომელიც 23 მაისს იყო დანიშნული. საპასუხო ტელეგრამა იტყობინებოდა: „... საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ არ არის საკავშირო ფედერაციის წევრი და ამასთან დაკავშირებით თქვენი ფედერაციის სტატუსის განსაზღვრა არ არის სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეროგატივა. იმისათვის, რომ გაეშროთ თანასწორუფლებიანი მოლაპარაკება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უნდა გაიწესოს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის წევრი“.



მსოფლიო ჩემპიონატი

გაბრიელის საფეხბურთო საზოგადოება

მსოფლიო ჩემპიონატების გახსნა ტრადიციულად უდიდესი ზარ-ზეიმის, აღმავლობისა და სპორტული აქტიურობის ვითარებაში ხდება. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც XIV გათამაშება იყო.

იმ ტრადიციას, რომ მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის პირველ მატჩში აუცილებლად მონაწილეობს წინა გათამაშებაში გამარჯვებული. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ 1974 წელს ჩაუყარა საფუძველი და საინტერესოა ერთი რამ: მხოლოდ 1982 წლის გათამაშებაში შემოღებული მოპოვება ერთ-ერთმა მხარემ. კერძოდ, ბელგიელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ჩემპიონი — არგენტინის გუნდი. სხვა სასტარტო შეხვედრებში არც გამარჯვებული გამოვლინდა, არც ბევრი ბურთი გატანილა, კერძოდ, 1974 წელს ბრაზილიისა და იუგოსლავიის გუნდების შეხვედრა დაამთავრა ფრედ. — 0:0, 1978 წელს ასევე ფრედ ითამაშეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლონეთის გუნდებმა — 0:0. 1986 წელს იტალიისა და ბულგარეთის გუნდებმა ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 1:1.

ამიტომაც, თუნდაც ამ თვალსაზრისით იყო საინტერესო გუნდები, რომლებიც ერთმანეთს შეხვდნენ (მილანში) მსოფლიო ჩემპიონი არგენტინა და აფრიკის წარმომადგენელი კამერუნის ნაკრები.

იტალიური კალენდრისკოპი

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე დიეგო მარადონამ, როგორც იქნა, მოიხიზმა მისთვის საგანგებოდ შეყერილი ბუცი.

ახლა მე ვი ვეცილი ახალი ბუცი ვაქვს, რომლებიც ვერა და ვერ მოვისინჯე მთელი თვის განმავლობაში. მიშლიდა ფრჩხილი, რომელიც მარჯვენა ფეხის დიდ თითში მქონდა ჩაჭვდილი.

ექიმებმა მცირე ოპერაციის შემდეგ ეს ღეფაქტი გამოასწორეს.

რუმის ოლიმპიური სტადიონის ერთ-ერთ შესასვლელში 9 ივნისს გახსნიან მემორიალურ დაფას, რომელიც აქ დაიდგა სტადიონის რეკონსტრუქციის დროს 24 დაღუპული მშენებლის პატივსაცემად.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ფ. ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ახლა გააცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ის, რომელიც 1974 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედალს მოიპოვა. ეს ორი გუნდი ახლა რომ ერთმანეთს შეახვედრო, 1974 წლის ჩემპიონები უპიკველად წააგებენ.

და ამის ამბობს ფეხბურთელი, რომელიც 16 წლის წინ თვითონ იყო მსოფლიო ჩემპიონთა კაპიტანი.

იუნაპირ კლინსმანი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების თავდამსხმელი. ერთადერთია გუნდში, რომელიც სასტუმროში მარტოდმარტო ცხოვრობს. მისი განმარტებით, ეს მარტობა საჭიროა თამაშებისთვის ფსიქოლოგიურად უკეთ მოსამზადებლად. თანაგუნდლები თანაგრძნობით შეხვდნენ ი. კლინსმანის ამ განცხადებას, სასტუმროში ცალკე ცხოვრების პრეტენზია არც ერთ სხვა ფეხბურთელს არ გამოუთქვამს.

ჩემპიონატი დაიწყო

დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდების ბოლო საკონტროლო შეხვედრები, რეპეტიციები დასრულდა.

საბჭოთა ფეხბურთელებმა იტალიის საკონტროლო დაბა ჩოკოში საწვრთნელი შეხვედრა გამართეს ადგილობრივ სამოყვარულო გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:0. ორი ბურთი გაიტანა ბოროდიუკმა, თითო — ბესონოვმა, იარემჩუკმა, ბროშინმა და დობროვოლსკიმ.

საკონტროლო შეხვედრები გამართეს სხვა გუნდებმაც: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა ანგარიშით 13:0 დაამარცხა სამხრეთ ტიროლის ნაკრები, რუმინელმა ფეხბურთელებმა მოუგეს იტალიის „ანდრიას“ — 4:2. ინგლისელები შეხვდნენ მეორე და მესამე დივიზიონების კლუბებიდან შედგენილ სარდინიის ნაკრებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 10:2.


ბელგიელებმა ბრიუსელში მიიღეს პოლონეთის გუნდი და ფრედ დაამთავრეს თამაში — 1:1. ბელგიელთაგან ბურთი გაიტანა ემერსმა.

მწვრთნელმა გი თისმა ცენტრალურ მცველებად პირველ ტაიმში ათამაშა კლისტერის და ალბერტი, ხოლო მეორეში — დემოლი და გრიუნე.

ურუგუაელი ფეხბურთელები ქ. ბრეშიაში შეხვდნენ ადგილობრივ კლუბს, რომელიც იტალიის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში გამოდის და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს სოსამ (2) და ფრანჩესკომ. ესპანელებმა სპარანგ-პარტიორად ასევე მეორე დივიზიონის გუნდი აირჩიეს ქალაქ ტრიესტიდან და ასევე გაიმარჯვეს

— 5:1. 2 პურთი გაიტანა ბურტა გენიომ, თითო — კანდრიამ, მიჩელმა და სანჩესმა. ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა ქ. პისტოიაში ითამაშა ადგილობრივ სამოყვარულო გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 7:0. საყურადღებოა, რომ მატჩი 3 ტაიმისგან შედგებოდა, მწვრთნელმა ი. ვენგლოშმა ნაკრების ყველა წევრს მისცა თამაშის საშუალება.

ბრაზილიელებმა ორი შემადგენლობით ერთმანეთთან თამაში არჩიეს. გაიმარჯვა ძირითადმა გუნდმა — 1:0, ბურთი გაიტანა ბეტეტემ.



წარმოგიდგინთ მონაწილეებს • I ჯგუფი



იტალია



აშშ



ანსტრია



ჩხოსლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკა



ინინი იტალიაში გამოვლან

არაბეთის გაერთიანებული საემიროები

„**მოხდა სამცხრაბა**“ — ასე განაცხადა არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაკრების მანინ-დომო მწვრთნელმა, ცნობილიმა ბრაზილიელმა ფეხბურთის სპეციალისტმა მარიო ზაგლომ, როდესაც გუნდმა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოაპოვა. მწვრთნელის ასეთმა არცთუ ოპტიმისტურმა განწყობამ, გამოიწვია ის, რომ იგი, გაათავისუფლეს ნაკრების უფროსი მწვრთნელის თანამდებობიდან და მის ადგილზე პოლონელი ბერნარდ ბლაუტი მიიწვიეს. ვერც ბლაუტმა გაძლო დიდხანს. ამ პოსტზე, მისი ხელმძღვანელობით გუნდმა თურქეთის ყურეს ქვეყნების ჩემპიონატის გათამაშებისას ვერც ერთი თამაში ვერ მოიგო, ორი წააგო, ორი კი ფრედ ითამაშა და მესამე ადგილი დაიკავა. ამ ფრთხალ მოკვლევებულმა შედეგმა ქვეყნის საფეხბურთო მწვრთნელთა კავშირის ფედერაციამ გამოიწვია და ბერნარდ ბლაუტიც კვლავ ბრაზილიელმა სპეციალისტმა, ამერად კარლოს ალბერტომ შეცვალა.

არადა, აზიის ქვეყნების ფინალური ტურნირის წინ არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს არავინ ასახველებდა ფავორიტთა შორის. იტალიის საგზურის ძირითად პრეტენდენტებად მიაჩნდებოდა სამხრეთ კორეის, საუდის არაბეთისა და ჩინეთის ნაკრები გუნდები. სამხრეთკორეელებმა ეს პროგნოზი გამართლეს, მაგრამ ძალზე სუსტად ითამაშა საუდის არაბეთის ნაკრებმა და მეორე ადგილისთვის შორის გაჩაღდა. პირად შეხვედრაში მთელი მატჩის განმავლობაში ჩინური ფეხბურთელები დომინირებდნენ მინდორზე, პირველი გოლიც მათ გაიტანეს, მაგრამ ბურთის მიწურულს ზედზედ ორი ბურთი გაუშვეს საკუთარ კარში, რის შემდეგაც არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაკრებს მეორე ადგილის მოპოვების შანსი გაუჩინდა.

ბოლო ტურში ჩინეთის ნაკრები კატარის გუნდს ხვდებოდა, დაამარცხდა ანგარიშით 1:2 და იტალიის საგზურიც, სამხრეთ კორეის გუნდთან ერთად, არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაკრებს ხვდა წილად.

მანამდე კი აზიის დასავლეთ ზონაში, არაბეთის გაერთიანებული საემიროების გუნდმა ასე იასპარეზა: კუვეიტი — არ. გს 3:2, არ. გს — პაკისტანი 5:0, არ. გს — კუვეიტი 1:0, პაკისტანი — არ. გს 1:4. შემდეგ გაიმართა ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალური ტურნირი: კუდრ — არ. გს 1:2, საუდ. არაბეთი — არ. გს 0:0, კატარი — არ. გს 1:1, ს. კორეა — არ. გს 1:1.

ამრიგად, ყველსთვის მოულოდნელად, არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაკრები იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი გახდა. ეს ქვეყანა მეხუთეა არაბულ

ლი სამყაროს სახელმწიფოებიდან, ვინც მსოფლიო ჩემპიონატების ფინალში იასპარეზებს. მანამდე ეს უფლება მოპოვებული ჰქონდათ ტუნისის, ალჟირის, მაროკოსა და კუვეიტის ნაკრებებს. წლეულს საემიროების ნაკრებთან ერთად იასპარეზებს ეგვიპტის გუნდიც.

ფეხბურთის ბუმი არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში სამოცდაათიანი წლებიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც მკვეთრად გაიზარდა ამ ქვეყნიდან ნავთობის ექსპორტი. „ნავთობდოლარების“ სიუხვემ და სახელმწიფოს გამდიდრებამ ფეხბურთის ბევრი სპეციალისტი მოიზიდა უცხოეთიდან. პირველი იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ლონ რევი, შემდეგ, წლეულად, არაბეთის გაერთიანებული საემიროების ფეხბურთის ასოციაციამ მიიწვია ბრაზილიელი კარლოს ალბერტო. ამის შემდეგ ქვეყანაში ფეხბურთის, სამხრეთამერიკული სტილი დამკვიდრდა. 80-იანი წლების მეორე ნახევარში საემიროების ფეხბურთელები თითქმის ყველა აზიური ტურნირების ფინალური შეჯიბრებების მონაწილეთა შორის არიან.


მარიო ზაგლო სპეციალურად მიიწვიეს ნაკრებთან სამუშაოდ 1990 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წინ. ამ უკანასკნელმა შეძლო წარმატების მიღწევა. გუნდის ძირითადი კოზირია მკაცრი, დისციპლინირებული დაცვა, სწრაფი კომბინაციური მოქმედება მინდორის ცენტრში და ელვისებური კონტრშეტევები. ნაკრების მოთამაშეები არ აძლევენ მეტოქეს დიდ

სათამაშო სივრცეს. ბურთის დაუფლების შემდეგ კი მოკლე და სწრაფი გადაცემებით გადიან დასარტყმელ პოზიციებზე. კიდევ ერთი ნიშანდობლივი თვისება არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაკრების წევრებისა არის ის, რომ ისინი ყველანი საშუალო მოსამსახურენი არიან, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს გუნდში დისციპლინის განხრებულ დაცვას.

ნაკრების კანდიდატები არიან: **მეჩაქები** — აბდულ კადრ ჰასანი (27 წლის), მუსხინ მუსაბანი (25), აბდულ ამას მუბარაკი (23); **მცველები** — ჰალილ განემ მუბარაკი (25), მუჰამედ უბეიდ ხელელო (23), მუბარაკ განემ მუბარაკი (27), აბდულ რაჰმან მუჰამედ აბდალა (27), აბდულ რაჰმან ალხადალი (25), სალიმ რაბია (23), იუსეფ ჰუსეინი (25), იბრაჰიმ შირი (23), ისა მირ აბდელ ნური (22); **ნახევარმცველები** — აღნან ატ-ტალიანი (26), აბდელ რაზაკ იბრაჰიმი (23), ალი ტანიჯუმა ალი-იხაუი (21), ნასერ ჰამის მუბარაკი (25), ფაჰდ ჰამის მუბარაკი (22), აბდალა სულტან აჰმედი (26), ჰასან აშ-შაიბანი (25); **თავდასხმელები** — ფაჰდ ჰასან ან-ნუვაისი (23), ფაჰდ აბდელ რაჰმანი (24), აბდელ აზიზ ხაღრი მუჰამედი (28), ჰუსეინ გულუმ ალი (21), ზუხეირ ბაჰიტ საიდი (23).

არაბეთის გაერთიანებული საემიროების ფეხბურთის ასოციაცია ჩამოყალიბდა 1971 წელს, ერთი წლის შემდეგ იგი ფიფა-ს წევრია.

გიორგი შორაძე.



ინგლისელები დააბრუნეს, გაბრაძ...

იმ ოფიციალურ შეტყობინებას, რომელიც ინგლისურმა კლუბებმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „ასტონ ვილა“ მიიღეს ევროპის საფეხბურთო ასოციაციის კავშირისგან, სენსაციური უნდა დაეარქვათ. კლუბებს საგანგებო საგანაცხადო ფორმები მოუვიდათ ევროპის ქვეყნების თავების მფლობელთა და უფროს თასის მომავალ შეჯიბრებებში მონაწილეობის

თვის. როგორც ცნობილია, ინგლისის გუნდები ევროპული საკლუბო გათამაშებებიდან გააქვებულნი იყვნენ 1985 წლიდან ამის გამო, რომ ბრიუსელის „იუიელის“ სტადიონზე მძიმე ტრაგედია მოხდა ინგლისის „ლივერპულს“ გულშემოტყვევართა ხულოგნობის შედეგად. მაშინ 39 მაყურებელი დაიღუპა.

რაც შეეხება ჩემპიონთა თასს, ინგლისელები, რომელმაც წლეულს ინგლისის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, ჯერ კიდევ ვერ მიიღეს მონაწილეობას ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, ვინაიდან კლუბს დისკვალიფიკაცია აქვს სულ ცოტა 1992-93 წლების გათამაშებად. „მანჩესტერი“ და „ასტონ ვილა“

თავიანთ განაცხადებს გაგზავნიან 30 ივნისამდე, მაგრამ, როგორც ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელმა დევიდ ბარბერმა აღნიშნა, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცევიან ინგლისელი გულშემოტყვევრები მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში. თუ მათ გამო იტალიის სტადიონებზე რაიმე ინციდენტი მოხდება, გლისის კლუბების დისკვალიფიკაცია ავტომატურად გააგრძელდება.

მხროლელი

ყაიმი

X ტური ჯერჯერობით ყველაზე შედეგადმი გამოდგა მოჭადრაკე ვაჟთა 50-ე რესპუბლიკური ჩემპიონატზე. ამ დღეს მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა ყაიმი: ხოფერია დაუზავდა კუჭუხიძეს, ხოლო დგებუაძე — პოპოვს.

საინტერესო იყო ოსტატების თამაშ ტაბატაძისა და ვია ბალითურის შეხვედრა. ძველნდურ დაცვაში ტაბატაძემ მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღო. მიტელოშილი ძალზე დაძაბული ბრძოლა გაიმართა, ტაბატაძემ პაიკი შეიწვია მეტოქეს, შემდეგ კიდევ ერთი პაიკი და ხარისხი დათმო, მაგრამ ფიგურები არ ეყო შემტვის დასავლეთიდან და თავი დამარცხებული აღსკნა.

ვიზო ჭურღულიამ შავი ფიგურებით, ტაქტიკური კომბინაციით დაამარცხა აკაკი იაშვილი.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: კაკაბაძე-სუპატაშვილი 0:1, შალამბერიძე-ქეკელიძე 1:0, მანაგაძე-გოგიჩაიშვილი 1:0, ხაბურზანიანი-სიჭინავა 1:0.

10 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში კვლავ დაამტკიცა მდგომარეობა. ალექსანდრე დგებუაძეს 7 ქულა აქვს. შემდეგ მოდიან: ვია ბალითური — 6 (1), ზაზა ხოფერია, იანის პოპოვი (ყველა — თბილისი), ნუკრი მანაგაძე (ქუთაისი) — 6-6, კახა შალამბერიძე — 5,5 (1), ვივი გოგიჩაიშვილი (ორივე — თბილისი), შოთა კუჭუხიძე (ქუთაისი) — 5,5-5,5.

პასილ ვაშაძისი.



ნორმის

ბადაჭარბა

ბადაჭარბის საკურორტო დაბა პრიმორსკოეში გაიმართა ქალთა ლია საერთაშორისო საქადრაკო ტურნირი.

შეჯიბრებაში, რომელიც შეეიწყარო სისტემით, 11 ტურად ჩატარდა, მონაწილეობდა 6 ქვეყნის 30 მოჭადრაკე. მათ შორის — 4 საერთაშორისო ოსტატი, 16 — ეროვნული და ფიდე-ს ოსტატი. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ ოსტატები თამილა მესხი, ჰენრიეტა ლაგვილია და ოსტატობის კანდიდატი ნატო ეძვერაძე.

8,5 ქულით პირველობა არავის დაუთმო საერთაშორისო ოსტატმა ელენა ზაიაცმა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ოსტატი ელენა ტიტოვა, 7,5 ქულით კი მესამე ადგილი წილად ხვდა რუმინელ საერთაშორისო ოსტატ გაბრიელა სტანჩუს.

IV-V ადგილები 7-7 ქულით გაიყვეს თამილა მესხმა და ჰენრიეტა ლაგვილიამ (ორივეს მწვერთელი თენგიზ ხარლამიძის). ნატო ეძვერაძემ 6,5 ქულით VI ადგილი დაიკავა და მთელი ერთი ქულით გადაჯარბა ფიდე-ს ოსტატის ნორმის. საერთაშორისო საქადრაკო რეიტინგი კი 185 ქულით გაიზარდა.

გიორგი სომარიძე

თბილისის ბავშვთა-მოზარდთა საქადრაკო სკოლის ხასწყვლო ნაწილის გამგე.

თვის მონაბარი

პარდოზისთვე — გამარჯვებულის თვე

(დახასრული) რად ვერცხლისა მოიგო უკრაინელ ელენა კამეცთან ერთად ასპარეზობისას.

ამავე ტურნირში კარგად გამოვიდნენ ზაზა აბრამიშვილი და ზაზა ხიზანიშვილი. მათი სინქრონული წყვილი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა ხარკოვიდან. საბოლოოდ ჩვენმა გუნდმა მესამე საპატიო ადგილი დაიკავა. ფაქტობრივად არ სწყალობს ბედი ლეილა მესხს. მან შესანიშნავად დაიწყო ასპარეზობა და სავლეთ გერმანიაში გამართულ ჩოგბურთულ ქალთა საერთაშორისო ტურნირში, ლეილა მესხი შეხვედრა მოიგო და მეოთხედფინალში დამარცხდა მსოფლიოს ნომერი პირველ ჩოგანთან, დასავლეთგერმანელ შტეფი გრაფთან. ასე იყო მამულარის ტურნირზეც, როცა ქართველ ჩოგბურთელს ვსა გადაუღობა ამერიკელმა მარტინა ნავრატოვამ. მიუხედავად მარცხისა, ლ. მესხის გამოსვლა წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. ლეილა მესხი მიმდინარე სეზონში რეიტინგით მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელ ქალთა შორის მე-19 ადგილზეა.

თბილისის „ვერეს“ საცურაო კომპლექსში გამართულ საბჭოთა კავშირის პირველობაზე სინქრონულ ცურვაში პირველი ადგილი დაიკავა მანანა ჩარქველიანისა და ეკატერინე ასათიანის დუეტმა, ხოლო ხრისტიანა ფალახანდლი ასევე ჩემპიონობა მოიპოვა ლენინგრადში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ასპარეზობისას. თბილისელი სპორტსმენი საუკეთესო იყო როგორც სოლისტთა შეჯიბრებაში, ასევე წყვილთა გამოსვლებაში კიეველ ელენა ფოშტესკაისთან ერთად.

„კარგად დახსენებ უნგრეთის შავ“ ქართველმა სპორტსმენებმა. ამჯერად მეორე ადგილი დაიკავა ვახტანგ იაგორაშვილმა ბუდაპეშტში მოასპარევე მსოფლიოს უძლიერეს

სუბტილდობთან ბრძოლაში. იგი მხოლოდ 19 ქულით ჩამორჩა მასპინძელთა გუნდის ლიდერს, იანოშ მარტივეს.

უნგრეთის საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირზე დიდი წარმატებით გამოვიდა თბილისის ბავშვთა საფეხბურთო გუნდი „ვაკე“. თბილისელმა ნორჩმა ფეხბურთელებმა პირველი ადგილი მოიპოვეს ორივე ასაკობრივ ჯგუფში: 1980 და 1981-82 წლებში დაბადებულ მოზარდებში.

ვერც მისში ასცდა ჩვენს რუბრიკას მშვილდოსანი ნატო ნახარიძე, რომელმაც გამარჯვა დაბა ეშერაში გამართულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე „გაზაფხულის ისრები-80“. ნატომ პირველობასთან ერთად ქვეყნის რეკორდსმენის წოდებაც მოიხვეჭა.

როგორც უოველთვის, მოქადრაკეებმაც შეიტანეს თავიანთი წვლილი „თვის მონაბარში“. მათა ჩიბურდანიძემ წარმატებით ითამაშა თურქეთის ქალაქ იზმირში, სადაც ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში 6,5 ქულით მესამე ადგილი მოიპოვა.

უხუშოსავლიანი გამოდგა მათი სპორტსმენებისათვის. სახტენდო სროლაშიც — მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე პირველობა არავის დაუთმო თბილისელმა მათა გუბიევამ.

ქართველმა მძლეოსანმა იოსებ შავერდაშვილმა რესპუბლიკური უნივერსიადის პროგრამით ასპარეზობისას ოქროს მედალი მოიგო უროს ტურცნაში, და ამავე დროს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. დაგვიტანს შემდეგ, ქართული მძლეოსნობის დღევანდელ, არც თუ ხასარბიელო ფონზე, ეს საკმაოდ დიდი მიღწევაა. სხვა გამარჯვებულებთან ერთად უნდა აღინიშნოს ქართველი სპორტსმენის — ჯუმბერ ცომაიას

მიღწევა, რომელმაც „ფაზისის“ ეკიპის ორ სხვა წევრთან ერთად ხვდა წილად. მან აღრიანი ნავებით რბოლის („ოუტბრეი“) ბოლო ეტაპზე ჩვენს პლანეტას შემოუარა. ამგვარი ფეხბურთი არ ახსოვს საქართველოს ადრინდელი ოსტატისა. ვახანელეს ქვეშა მოკრძევებმაც დიდი ხნის განმავლობაში რინგზე ხაკეშვილი პროფესიონალი პირველობის ბოლო ეტაპზე ოლიმპიური რეზერვის კრივის სპორტსკოლებს შორის ჩვენმა კაბაუქებმა 4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს. ჩემპიონები ვახანელე ლეილა მესხი, ირინტ ხარაძე, ვადიმ კოკოვეი და იგორ ძაგოვეი, ვერცხლის მედალი პაატა ლომიაძის ხვდა წილად, ბრინჯაოს — დავით ჭურდიანსა და ლაშა იოსელიანს.

საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატის გამარჯვებულმა, თბილისის წყალბურთულ ქალთა გუნდმა „იერიამ“ წარმატებით შეასრულა ამოცანა, მესამე ადგილი დაიკავა საკავშირო ჩემპიონატის წინაწარ შეჯიბრებაზე და ფინალურ ოთხეულში მონაწილე გუნდებს შორის მოხვდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 18 მათს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით პირველად აღინიშნა ოლიმპიური დღე, რასაც საქმაოდ დიდი რეზონანსი ჰქონდა საქართველოს ყველა ქალაქში, უველა რაიონში. ამ დღეს გაიმართა მრავალი საინტერესო სპორტული შეჯიბრება, რომელთა შორის უველგან წამყვანი და ძირითადი იყო შეჯიბრებები ეროვნულ სახეობებში. შეგვიძლია ვთქვათ, პირველი ოლიმპიური დღე საქართველოში ეროვნული სულსკვეთებით ჩატარდა.

ეროვნული მოძრაობის წყალობა და მისი სახიკეთო შედეგების გამოვლინება იყო საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი — შეხვედრა ლიტვის ეროვნულ ნაკრებთან. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2, მაგრამ მთავარია არა სპორტული შედეგი, არამედ ფაქტი. ქართული სპორტი იბრძვის დამოუკიდებლობისათვის და შედეგად საქმაოდ ნათელი და ხელშეხანება. დეი. ქართული ფეხბურთის პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები უოფილიყო არაბრადი ქართულ სპორტში და არა მარტო სპორტში, სრული და საბოლოო დამოუკიდებლობისა.

მხროლელი ტენიკური

შედეგები

საბჭოთა კავშირის პირველობა წყალბურთში. ვალასავლელო ტურნირი. II ტურის მატჩები.

6 ივნისი (დღილი)
„დინამო“ (ალმა-ათა) — „წფ (ბაქო) — 11:13
„სინთეზი“ (ყაზანი) — „სპარტაკი“ (ვოლოგრაძი) — 8:16
„წფ (სევასტოპოლი) — „დინამო“ (თბილისი) 8:8

6 ივნისი (ხალამო)
„წფ (ბაქო) — „წფ (სევასტოპოლი) — 8:10
უსდს (მინსკი) — „დინამო“ (ალმა-ათა) — 13:12
„დინამო“ (თბილისი) — „სინთეზი“ (ყაზანი) — 10:8.

დრამატული შინალი



ნიუ-იორკში. ნა-ს პროფესიულ კალათბურთელთა ლიგის პირველი ფინალური მატჩი, როგორც ცნობილია, „დეტროიტ პისტონსმა“ მოიგო „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსთან“. მეორე მატჩის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 1:1. „პორტლენდმა“ რეკონში აიღო დამატებითი დროის ბოლო წამებზე — 106:105.

დრამატული ბრძოლით აღინიშნა შეხვედრის ბოლო მონაკვეთი. მატჩის დამთავრებამდე 4 წამით

ადრე „დეტროიტის“ თავდამხმელებმა ბილ ლეიმიბრმა ზუსტი სამქულიანი ტყორცით დააწინაურა თავისი გუნდი — 105:104. „პორტლენდმა“ სწრაფი საპასუხო შეტევა წამოიწყო, მაგრამ მისი ლიდერი კლავდე დრეკსლერი (ამ დღეს იგი საუკეთესო სნაიპერი იყო — 33 ქულა) აკრძალული ზერხით შეაჩერეს და მსაჯებმა ორი საჯარიმო ტყორცა დანიშნეს, რომელიც წარმატებით შეასრულა დაზარალებულმა. ეს მოხდა, როცა მატჩის დამთავრებას 2,1 წამი აკლდა.

კონტაქტები ფართოვდება

სულ უფრო და უფრო ფართოვდება სპორტული კონტაქტები აჭარასა და მეზობელი თურქეთის რესპუბლიკას შორის. თურქეთში უკვე რამდენიმე ამხანაგური მატჩი ჩატარეს ბათუმელმა ფეხბურთელებმა. ამ ცოტახნის წინ კი აჭარის სპორტსახკომის თავმჯდომარე თენგიზ ბოლქვაძე საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ქ. რიზში, რის საფუძველზეც 23-26 მარტს თურქეთის ქალაქ გირესუნში საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართეს აჭარისა და გირესუნის კლასიკური სტილით მოქიდავეებმა და ძიუდოსტებმა.

აჭარის ნაკრების შემადგენლობაში (ორივე სანეობა) 30 კაცი ირიცხებოდა, გვიტხრა თ. ბოლქვაძემ. მასპინძლები გულთბილად შეგვხვდნენ, დასვენებისა და წვრთნის კარგი პირობები შეგვიქმნეს. პირველად შეხვედრა გამართეს კლასიკური სტილის მოქიდავეებმა. ჩვენი ფალანგები ვაქცაუტრად იბრძოდნენ და გამიმარჯვეს კიდევ დიდი ანგარიშით 15:2. ძიუდოსტთა შეჯიბრებაში კი მასპინძლებმა გამოიჩინეს თავი და დამარცხეს აჭარელი სპორტსმენები მინიმალური ანგარიშით 4:3.

მუსხან კობალაძე.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში შემსვლალ აბიტურიენტთა საშუალოდღეობა! ვიდრე გამოცდაზე გავალთ, შესაქმალთა ვაქცაუტრით კარგად მოამზადოთ

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი გაწეობს, რომ 1990 წლის 18 ივნისიდან იწყება მეცადინეობა ერთთვიან მოსამზადებელ კურსებზე იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებსაც სურთ ინსტიტუტის დღის ან დაუსწრებელ განყოფილებაზე შესვლა. მსურველებმა 16 ივნისამდე უნდა წარმოადგინონ სათანადო განცხადება. პროგრამა: მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); ბიოლოგია და ცურვა. სწავლება სამეურნეო ანგარიშზეა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე 10 საათიდან. მისამართი: თბილისი, ქვეყნაძის პროსპექტი 49-ა. ტელეფონი: 29-39-62.

გაქალი დღეა:

შედეგები

ბატონი, დღისათვის ჩამატებულია ლია ჩემპიონატის, სხვაგვარად, გრუნტის კორტებზე მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატსაც უწოდებენ. ეს შეჯიბრება „დიდი მუზარაისი“ სერვის ერთ-ერთი ასპარეზობაა და, როგორც წესი, წინ უსწრებს უიმბლდონის ტურნირს — მსოფლიოს მეორე არაოფიციალურ ჩემპიონატს, ოღონდ ბალახის საფარიან კორტებზე.

წლიდანელი ქალთა ტურნირის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა შტეფი გრაფმა (გერ) და 16 წლის იუგოსლაველმა „ვარსკლევა“ მონიკა სელეშმა, გრაფმა ნახევარფინალში ადვილად სძლია (6:3 წუთში) იანა ნოვოტნას (ჩეხოსლოვაკია) — 6:1, 6:2, სელეშმა კი მეორე, მასზე უფრო ახალგაზრდა (14 წლის) ვარსკლავს, ამერიკელ ჯანიფერ კაპრაიტის. ამასთან საინტერესოა აღინიშნოს, რომ იუგოსლაველი ჩოგბურთელი ოცდათერთმეტე შეხვედრაში ჯერ არ დამარცხებულა.

ოცდამეორმეტე ბრძოლა მას შტეფი გრაფთან ექნება. შარშან, ამავე ტურნირში დასავლეთგერმანელმა ჩოგბურთელმა ნახევარფინალში დამარცხა სელეშო, წლეულს დასავლეთ, ბერლინის ლია ჩემპიონატის ფინალში კი, იუგოსლაველმა რეკონში აიღო.

საკმაოდ შერწყმულად თამაშობს ახლახან დაწყებული ინტერნაციონალური შერეული ლეტივი კიევილი ნატალია მედედიცკასა და ამერიკელი კელი ჯონსის შემადგენლობით. მეოთხედფინალში მათ ჰოლანდიელთა წყვილი (ბრენდელ სულცი — მიქელ სნაიპერსი) დაამარცხეს და გათამაშების შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 12 ივნისს.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

თბილისის სახელმწიფო იბო-დრომის დირექტორი გაეცნობებთ, რომ მისიდან განაახლა მუშაობა საცხენოსნო ტურნირის განყოფილებაში. გახსნილია მოსამზადებელი ჯგუფები. მსურველი სათანადო მომზადების შემდეგ მონაწილეობას მიიღებენ სამ, სუთ და შვიდ დღიან ლაშქრობებში თბილისი-ბეთანი-წვერი-ქვეთაიხის მიმართულდით. ტურისტულ მოგზაურობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია როგორც კერძო პირებს, ისე რესპუბლიკის დაწესებულებებს, სკოლებს და უმაღლეს სასწავლებლებს. ანგარიშსწორება გადმორიცხვის საშუალებითაც შეიძლება. მსურველთა მოგმსახურება ბეთანიის საცხენოსნო ტურისტული სახტუმრო „რანჩო“.

ცნობებისათვის დარეკეთ: 39-10-52, 39-31-89, 39-04-33, 39-80-25.

ასკ სტადიონი 12 ივნისი

ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (II ლიგა, აღმოსავლეთის ქვეჯგუფი) „მრეხამი“ (თბილისი) — „ბაკაჯი“ (საგარეჯო) დასაწყისი 19 საათზე.

ნარდის მოყვარულთა საშუალოდღეობა

10 ივნისს, 18 საათსა და 30 წუთზე საქართველოს ტელევიზიის I პროგრამით ნახავთ გადაცემას „ნარდი — ჩემი სიყვარული“, რომელაც შეეხება ამას წინათ ჩატარებულ საქართველოს პირველ ჩემპიონატს ნარდში.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

გაქალი მონაბარი:
წერილებათვის — 880000,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დღეებშეხასთვის — თბილისი, „ლელო“.

ჩემპიონის ბელაშონი:
წერილებათვის განყოფილება — 88-87-55,
სამადგენო — 88-87-52,
ინფორმაციის განყოფილება — 88-87-58,
„მერანი“ — 88-87-88, „მართე“ — 88-87-27.

გაქალი მონაბარი:
წერილებათვის განყოფილება — 88-87-55,
სამადგენო — 88-87-52,
ინფორმაციის განყოფილება — 88-87-58,
„მერანი“ — 88-87-88, „მართე“ — 88-87-27.

საქართველოს კვ. ც.-ის გამომცემლობის წინააღმდეგობის დროშის ორდენისა სტამბა. 280000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, აბეჭდება ოფსეტური წესით საჯარო კორპუსში: ხომარაულის, 28. ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779